საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

გობისცხვირა

გობისცხვირა (Prunella) მცენარეთა გვარი ტუჩოსანთა ოჯახისა. მრავალწლოვანი დაბალი ბალახი საპირისპიროდ განლაგებული მთლიანი ან დაკბილული, ზოგჯერ განკვეთილი ფოთლებით. მათი იისფერი, მეწამული, თეთრი ან მოყვითალო ყვავილები შეკრებილია ჩხროებად, რ-ებიც თავის მხრივ თავმოყრილია თავთავისებრ ყვავილედებში. გ-ს 15-მდე სახეობა უმთავრესად გავრცელებულია ევროპაში.

საქართველოში ამ გვარის 3 სახეობაა. მათგან P. grandiflora მხოლოდ ქართლსა და აჭარაში იზრდება, ხოლო P. vulgaris და P. laciniata - თითქმის მთელ საქართველოში. პირველი გვხვდება ტყეებში და ტყის პირას, ბუჩქნარებში, სუბალპ. მდელოებზე, მდინარეთა ნაპირებზე და გზის პირას, ხოლო როგორც სარეველა – ნათესებში; მეორე – იზრდება მდელოებზე, ტყის პირას. თაფლოვანი და სამკურნ. მცენარეა. იყენებენ ხალხ. მედიცინაში.

მ. გურგენიძე

გობისცხვირა.

დიდყვავილა
გობისცხვირა (Prunella grandiflora).

გობისცხვირა (Prunella vulgaris).

გობისცხვირა (Prunella laciniata).